




ხაშურის მთაძმუ



№34 (115)

11 სექტემბერი, ორშაბათი,

2017 წელი



ასპროცენციანები

წარმატებულები, ნიჭიერები, ინტელექტუალები, ერუდირებულები, ლადები, კარგები, სასახელოები... დმერთო, ყველა დადებითი ეპითეტი მემატება ამ ბავშვებისათვის. თუმცა, რაღა დროს ბავშვები? დამთავრდა ბავშვობა. წინ უღამაზესი და ცხოვრების ყველაზე ტკბილი პერიოდი ელოდებათ - სტუდენტობა. პერიოდი, რომელიც მათთვის სრულიად სხვა სამყაროში ხსნის ალაყაფის კარებს, შეუცნობლის შეცნობაში იწვევს მათ და სწორედ ამაშია ყველაზე დიდი ვნება. განა ჩვენი კლასიკოსი მწერალიც იგივეს არ ამტკიცებს: შენებაშია ვნება და არა აშენებულთ ტკობაშიო, როცა ამბობს? სათაურში გამოტანილი „პოსტულატიც“ როგორ უხდებათ ამ ახალგაზრდებს. პოდა, გვინდა სულ ასეთი ასპროცენტიანები ყოფილიყვენ ისინი სწავლაშიც, შრომაშიც, გარჯაშიც, მამულიშვილობაშიც, სამშობლოს სიყვარულშიც და ნებისმიერ სხვა საქმეშიც.

გამიგრძელდა შესავალი სიტყვა და მოდით, პირდაპირ ვთქვათ სათქმელი: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებულებიდან, 17-მა აბიტურიენტმა 100 პროცენტიანი სახელმწიფო გრანტი მიიღო. აი, ისინიც:

- ქეთევან ბარბაქაძე (ხაშურის I საჯარო სკოლა);
- ნინო რომაშვილი (ხაშურის I საჯარო სკოლა);
- თათია ვეფხვაძე (ხაშურის I საჯარო სკოლა);
- თათია კახეთელიძე (ხაშურის I საჯარო სკოლა);
- მარიამ შეყვლაშვილი (ხაშურის №6 საჯარო სკოლა);
- თათია ჯაფარიძე (ხაშურის №6 საჯარო სკოლა);
- ირაკლი გურეშიძე (ხაშურის №6 საჯარო სკოლა);
- მარიამ ხინკაძე (ხაშურის №8 საჯარო სკოლა);
- ივანე უღუმბელაშვილი (ხაშურის №8 საჯარო სკოლა);
- ემზარ ბუაძე (ხაშურის №8 საჯარო სკოლა);
- ქეთევან ლომიძე (სურამის №2 საჯარო სკოლა);
- გიგა მესხრიშვილი (სურამის №3 საჯარო სკოლა);
- ნინო ტაბატაძე (სურამის №4 საჯარო სკოლა);

ანანო გოგალაძე (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი);
 ვახტანგ დევაძე (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი);
 ლიზი ბარბაქაძე (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი);
 დავით გაფრინდაშვილი (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი).
 ერთი სასიამოვნო ფაქტიც: ეს სია შეიძლება არასრული იყოს და მათი რიცხვი, არაა გამორიცხული, გაიზარდოს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასე ვთქვათ, საბოლოო „მზა“ სიებს არ აქვეყნებს და ჩვენ სულ სხვადასხვა წყაროებიდან მოგვისდა ჩვენი „ასპროცენტიანების“ მოძიება. რა თქმა უნდა, დიდად დაგვიხმარა განათლების რესურსცენტრი და სწორედ ისინი არ გამორიცხავენ, რომ ამ ბავშვების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს.

ახლა, ამ ჩვენს „ასპროცენტიანებს“ მიუმატეთ ათეულობით ე.წ. 70 პროცენტიანი (რაც, ასევე, ძალიან მღალი შედეგია), და არავის არ გაუკვირდეს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი, საქართველოს სხვა რაიონებს შორის, თუ პირველზე არაა, პირველ სამეულში უცილობლად აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, წარმატებული აბიტურიენტების სიმრავლით. ეგებ ამ ციფრმა მაინც დააღუმოს ხაშურზე და ხაშურელებზე მოქილიკე ყბელები, რომლებსაც ჩვენი ქალაქი, რატომღაც, სამყაროს დასასრულის საზღვრისპირა დასახლება ჰგონიათ.

პირადად მეც, ყოველგვარი ნიჭილიზმი მიქრება და როდესაც ამ ბავშვებს ვუყურებ, მჯერა, ივერია ნამდვილად გაბრწყინდება. ამიტომაც გიხდით თქვენ დიდ მადლობას, თავს ვხრით თქვენი პედაგოგების წინაშე და კიდევ ერთხელ გილოცავთ თითოეულს.

იცოდეთ, რომ ყოველთვის გვემედეებით!

P.S. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ზოგიერთი გასულია ქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფება დასასვენებლად (არ ეკუთვნით, თუ რა?!), ჩვიდმეტევს შეკრება ვერ მოვახერხეთ და ფოტოზე მხოლოდ 9 მათგანია.
 გ. გოგოლაძე

ქეთევან დავითაშვილი გახლდათ რკინიგზის №1 ბავშვთა სახლის დირექტორი—დამსახურებული პედაგოგი, ჩინებული აღმზრდელი, უაღრესად განათლებული, პიროვნება, რომლის გულისყური მიპყრობილი იყო ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბებისკენ. იგი ყოველთვის ცდილობდა ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება გაეღამაზებინა, გაეფერადებინა. ბავშვთა სახლის ყოველდღიური შრომითი გაერთიანება საჭირო დისციპლინას მოითხოვდა ბავშვებისაგან. დილით ადრე ადგომა, მსუბუქი ტანვარჯიში, მუსიკალური აკომპანირებით, მოწესრიგება, საუზმე და მზადება სკოლაში წასაველვად, ბავშვები ნაწილდებოდნენ, სხვადასხვა სკოლებში, გაკვეთლების დამთავრების შემდეგ, მზადება-აკადემიური მოსწრებისათვის. ბავშვთა სახლის აღსაზრდელები გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით. ბევრი მათგანი ოქროს და ვერცხლის მედლის მფლობელები იყვნენ. უფროსი თაობიდან გამოირჩეოდნენ: თინათინ ჭანკოტაძე, უმანკო ქიმერიძე, და-ძმა ემა და მურთაზ აბაიძეები, ვლადიმერ სტრელცევი, საშა კულირენკო, ვიტია ზილინენკო და სხვები. სწორედ აქ იჩენდა თავს ქალბატონი ქეთევან დავითაშვილისა და მისი მაღალკვალიფიციური, აღმზრდელ-პედაგოგების

განებიერებულნი იყვნენ სასკოლო არდადეგებზე სხვადასხვა საკურორტო ადგილებში დასვენებით.

როდესაც ბავშვთა სახლის აღსაზრდელი სასკოლო ასაკს ეთხოვებოდა, ქალბატონ ქეთევანს თავად მიჰყავდა უმაღლეს სასწავლებლებში. პროფტექნიკუმის სასწავლებლებში ბავშვი ყალიბდებოდა ღირსეულ მოქალაქედ და ადამიანად. აქვე გავისხენებ ბავშვთა სახლის სხვა ზემდგომ ხელმძღვანელებს: ბორის სმირნოვს, ბლანჩივაძეს, ქრისტინაშვილს, განსაკუთრებით კი ჩვენ ერთგულ მეგობარს, უკეთილშობილეს გურამ ცინცაძეს.

ქეთევან დავითაშვილის პროფესიული მიღწევები, ავტორიტეტი რკინიგზაში მეტად დაფასებული იყო. კიდევ ერთი აღსანიშნავი თარიღი ქეთევან დავითაშვილის 75 წლის იუბილე გახლდათ. იმ პერიოდისათვის მზავსი ტიპის ღონისძიებები იშვიათად გადაიციმოდნენ ცენტრალური ტელევიზიით, მაგრამ ქალბატონ ქეთევანს ეს პატივი ერგო და იმსახურებდა კიდევ. ღონისძიებაზე უამრავი საპატიო სტუმრი იყო მიწვეული: მძღვარი ქარხნების დირექტორები კავშირის მასშტაბით, სამშენებლო ტრესტისა და სამმართველოს უფროსები, აგრეთვე, თურქმენეთის რესპუბლიკის სამხედრო კომისარი და მრავალი სხვა თანამდებობის პირები (ზოლინენკო, აფანასევი, აბაიძე, სტრელკოვი და მრავალი სხვა).

ქალბატონი ქეთევანი აქტიურად თანამშრომლობდა ხაშურის სკოლების დირექტორებთან, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საშა ხუროძე, მაშინდელი რკინიგზის №1 სკოლის დირექტორი, რომელი სკოლაში შემდგომ კარლო მურჯიანელმა და ჩვენმა სახელოვანმა მურად მთვარელიძემ ააყვავა და სანიმუშო სკოლად აქცია. დავამატებ, რუსული სკოლის დირექტორსაც ბატონ იპოლიტეს.

განსაკუთრებული კოლექციალურობით გამოირჩეოდა ქეთევან დავითაშვილი პიონერთხელმძღვანელების თამრიკო ჯაფარაშვილის, მერი ჯოჯიშვილის, ნუნუ გურუშიძის და სხვათა მიმართ. მუდმივად მიმდინარეობდა გამოცდილების ურთიერთგაცვლა. ასეთი თავდადებული მუშაობის შედეგად გაზრდილ ბავშვში წვეთიც არ იყო ბოროტებისა, ეგოიზმისა, შურისა. პირიქით, ამ უნიკალური ქალბატონების პედაგოგობით ისინი იზრდებოდნენ სამშობლოს მოყვარულნი, ღირსეული პიროვნებები.

ბუნებრივია, ქეთევან დავითაშვილისთვის ბავშვთა სახლი მეორე საცხოვრისად იქცა. არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი ქალიშვილების მერვია და ნუნუკას თბილი დამოკიდებულება ბავშვთა სახლის ყველა აღსაზრდელის მიმართ. ვერ აღვიწერთ, იმ დიდ სიყვარულს და სიხარულს, როდესაც ისინი შაბათ-კვირას ჩამოდიოდნენ ჩვენს მოსანახულებლად და დღესაც დიდი ადგილი უკავიათ ჩვენს ცხოვრებაში.

როდესაც საუბარია ქალბატონ ქეთევანზე, მის გვერდით არ შეიძლება არ ვახსენოთ მისი თანაშემწე და მარჯვენა ხელი, ჩინებული ორგანიზატორი, ვაჟკაცური შემართებით და ამავე დროს, ჩვენი სახელოვანი მსახიობი საქართველოს სახალხო თეატრში ქეთევან ბერაია. იგი ბავშვთა სახლში უძღვებოდა მომარაგების სამსახურს. ქეთო ბერაია მიდმივად ზრუნავდა ყველა აღსაზრდელის მოწესრიგებაზე. განსაკუთრებით, სასკოლო ფორმა, ყოველთვის წესრიგში უნდა ყოფილიყო. საოცარ დედურ სითბოს იჩენდნენ ჩვენს მიმართ ქალბატონები ნატაშა რაზმაძე და ციცინო სამთელაძე.

დამრჩა ყველაზე ტკბილი ღუკმა, უნიკალური, წმინდა სულის და გულის მქონე უაღრესად პატიოსანი მოქალაქის, დიდი თეოლოგის მამა გიორგი ზვიადაძის - ქება-დიდება, რომელმაც გარკვეული წლები დაჰყო ხაშურის საბავშვო სახლში. დღესდღეობით ის საქართველოს სასულიერო აკადემიის პრორექტორია და ასეულობით ახალგაზრდის სულიერ აღზრდას ემსახურება.

ქალბატონი ქეთევანის დამსახურებების შესახებ საუბარი დაისრულებლად შეიძლება.

და ბოლოს, მინდა, მოკრძალებულად მივმართო დღევანდელი ბავშვთა სახლების ხელმძღვანელებს, რომ იყვნენ მაქსიმალურად ყურადღებიანები აღსაზრდელების მიმართ, მოეპყრონ მათ სიყვარულითა და სითბოთი, ისევე, როგორც ქეთევან დავითაშვილი იყო თავდადებული ჩვენს მიმართ. მას საპატიო ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში.

ომარ ბარბაქაძე,
ბავშვთა სახლის ყოფილი აღზრდელი

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია ხაშურის ბავშვთა სახლი, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩვენს ქალაქში



უდიდესი დამსახურება, განსაკუთრებით, უფროსი მასწავლებლების თინა გიორგაძის, ანიკო ტურტულაძე, ანიკო ხვედელიძის, ოლია ძიძიგურის, ნინა ჩაგანავას, ქეთევან გიორგაძის, მერი ნადირაშვილის და სხვების. დღის განმავლობაში ბავშვები აქტიურად ერთვებოდნენ ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში. დიდ დროს უთმობდნენ მუსიკალურ, კერძოდ, სასულე საკრავების, ქართული ხალხური ცეკვების, სიმღერის და სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში მეცადინეობებს, სადამოს საათებში ტარდებოდა რეპეტიციები. სასულე საკრავების ორგანიზაციების ხელმძღვანელი გახლდათ უაღრესად ნიჭიერი სერგო ლაკერბაია. უამრავი წარმატება ხვდა წილად ბავშვთა სახლს რაიონულ თუ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. განსაკუთრებული ყოფაქცევით ხასიათდებოდნენ ძმები კახაბერ, ამირან და ომარ ბარბაქაძეები. უამრავ ტკბილ მოგონებათაგან ვიხსენებ, ერთერთ ეპიზოდს ჩვენი ცხოვრებიდან, რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველი ადგილი მოიპოვა ხაშურის ბავშვთა სახლმა, იქ ლეგენდარულმა ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა რჩევები და შენიშვნები მოგვცეს. კონცერტს ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და მრავალი საპატიო სტუმარი. ამ გამარჯვების შემდეგ, დარბაზში საქართველოს პიშინი გაისმა, მაყურებელი ფეხზე იდგა, ტაში და ოვაცია არ წყდებოდა, ყიველივე ეს, გამომდინარე იყო იმით, რომ ხაშურის ბავშვთა ანსამბლი იყო ინტერნაციონალური. სამამულო ომის შემდეგ, სხვა რესპუბლიკებიდან ევაკუირებული ბავშვების თავშესაფარი, სწორედ რკინიგზის ბავშვთა სახლი გახდა. ამავე დროს, იყვნენ საზღვაგარეთის ქვეყნიებიდან - ჩინეთიდან, იუგოსლავიიდან, იტალიიდან. ისინი ეუფლებოდნენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ხელოვნებას, კულტურას, იზრდებოდნენ ქართული სულისკვეთებით. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ომის შემდგომ წლებში, ქალბატონი ქეთევანის დახმარებითა და მთავრობის ყურადღებით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ყოველთვის



ყოველწლიურად შინაგან საქმეთა სამინისტრო, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გარდაცვალებისა და დაზიანებების შემთხვევებზე სტატისტიკას აქვეყნებს. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია ავტოსაგზაო შემთხვევების, რომელთაც ადამიანთა სიცოცხლე ეწირება. უცოდინარო, ნასვამი მძღოლები, მანქანების გაზრდილი რაოდენობა და მრავალი მიზეზი, რაც ქმნის ქაოსურ და ფატალურ შედეგებს. ჩვენი სტუმარი ბატონი ნუგზარ თათარაშვილი ავტოსკოლა "ავტობანი I" დირექტორია, რომელიც რამდენიმე ფილიალს აერთიანებს. 45 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და კარგად ხედავს იმ პრობლემებს, რომელიც დღეს ავტოსაგზაო მიმართულებით ხდება. ბატონ ნუგზარს თავისივე ავტოსკოლაში ვესტუმრეთ და ყოფილი დოსააფის შენობაც დავათვალიერეთ, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ტექსოკლას წარმოადგენდა ამიერკავკასიის მასშტაბით. დღესაც უცვლელი ფორმით "ყვავის" შენობაში კომუნიზმი(ასე ხუმრობენ), ეს შენობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მხოლოდ ხაშურს შემორჩა. სანამ უშუალოდ მის საქმიანობაზე, პრობლემებზე გავაგრძელებთ საუბარს, ერთად გავიხსენოთ „დოსააფის“ დაარსების და საქმიანობის ისტორია:

– აქ იყო ერთ-ერთი სანიმუშო სკოლა მთელს ამიერკავკასიაში, ტარდებოდა შეკრებები, მეცადინეობები, სადაც ჩამოდიოდნენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან. სწავლებებს ატარებდნენ როგორც ჩვენი ინჟინერ-პედაგოგები, ასევე თბილისიდან და მოსკოვიდან მოწვეული სპეციალისტები. ბაგაჩინმა შეიმუშავა პროგრამა, რის მიხედვითაც ხდებოდა შემდეგში მოსწავლეების მიღება. საკვალიფიკაციო ეტაპამდე მიყვანა-გაწერილი იყო მთლიანად,



როგორ უნდა დაწვებულიყო თეორიული კურსი, რა დროს უნდა ჩართულიყო პრაქტიკული მეცადინეობა. ეს სკოლა ითვლებოდა ასევე სამხედრო სწავლებისა და გადაამზადების ძლიერ ბაზად მთელ ამიერკავკასიაში. საბჭოთა კავშირის დროს, არსებობდა სოცშეჯიბერი, რომლის დროსაც, გამარჯვებულ სკოლას ენიჭებოდა სტატუსი "სანიმუშო", ამის მიხედვით განისაზღვრებოდა ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების ხელფასი. "დოსააფი" ნახევრად გასამხედროებული იყო და სკოლის ხელმძღვანელი პირველ და მეორე კატეგორიის სკოლებში, აუცილებლად ოფიცრის წოდებით უნდა ყოფილიყო. აქ მომზადებული მძღოლები მიდიოდნენ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და ავღანეთში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დოსააფი დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს, გარკვეული პერიოდი იყო მის შემადგენლობაში-ვამზადებდით მძღოლებს შეიარაღებული ძალებისთვის. დოსააფში საბჭოთა კავშირის დროს არა მარტო სამხედრო მძღოლებს ვამზადებდით, არამედ რადიოტელეგრაფისტებს, მფრინავებს, ტანკისტებს, მეყვინთავეებს და ეს იყო დიდი ორგანიზაცია, მრავალფუნქციური, დღეს ეს ურთიერთობა მოიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის რუსეთმა, სოხეთმა და აზერბაიჯანმა შეინარჩუნა ეს სისტემა. მაშინდელი მანქანები ყველა სამხედრო დანიშნულების იყო.

- თქვენზე რომ მოგვიყვებთ-თავდაპირველად, რა სტატუსით დაიწყო მუშაობა?

– 45 წლიანი გამოცდილება მაქვს აქ მუშაობის. ინჟინრის პოზიციაზე ვმუშაობდი, შემდეგ დაამნიშნეს ავტოსკოლის უფროსად, სადაც 13 წელი ვიმუშავე. 1994 წლიდან დღემდე დირექტორი ვარ.

- 45 წლიანი სამუშაო გამოცდილება გაძლევთ იმის შესაძლებლობას, უკეთესად დაინახოთ პრობლემები, გვითხარით, რაში ხედავთ გამოსავალს?

– არაპროფესიონალიზმი ბევრი პრობლემის საწინდარია. დღეს ყველა ასწავლის, ვისაც არ ეზარება. ყველას შეუძლია ავტოსკოლის გახსნა, კანონი ამ მხრივ არაფერს არ უწევს შეზღუდვებს-არაპროფესიონალი ზრდის არაპროფესიონალს! ორი თვის წინ, შეხვედრა მქონდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, დავით ვარდიაშვილთან და სააგენტოს გენერალურ დირექტორთან, სადაც ვიმსჯელებთ იმ სავალალო სტატისტიკაზე, რომელიც ქვეყანაში არსებობს ავტოსაგზაო შემთხვევებისას, 2017 წელს 600 გარდაცვალების და 10 000-მდე ფიზიკური დაზიანების შემთხვევაა დაფიქსირებული. გარდა ამისა, ევროდირექტივები არსებობს, მათთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ითხოვენ, რომ ყველაფერი მოექცეს ევროსტანდარტებში. რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ავტოსკოლა უნდა იყოს გათანაბრებული და ანგარიშვალდებული ბიუჯეტთან.

- რადგან ერთ-ერთ მთავარ პრობლემად არაკვალიფიციური ავტოსკოლები მიგაჩნიათ, გვითხარით, ვის შეუძლია გახსნას ავტოსკოლა, რა პროცედურების გავლა მოუწევს ამისთვის?

– ვისაც აქვს სურვილი, დარეგისტრირდება მიკრომწარმედ საჯარო

რეესტრში, შესაბამის დოკუმენტაციას მიიტანს სააგენტოში და მიიღებს თანხმობას-ძალიან მარტივი პროცედურებია გასავლელი. ავტოსკოლა, რომელსაც აქვს ერთი სკამი, მაგიდა და კომპიუტერი, ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს-იმის შესაბამისად, ვის რა კატეგორიის ალება უნდა-ეს რა თქმა უნდა, უკვე დიდი პრობლემაა. სკოლები ადრე ხარისხდებოდა კატეგორიების მიხედვით-მესამე კატეგორია მხოლოდ მსუბუქი მანქანის მძღოლებს ამზადებდა (D კატეგორია), მეორე კატეგორია იყო ავტოსკოლები, რომლებიც ამზადებდა B და დანარჩენ ქვეკატეგორიებს (B,C,D), პირველი კატეგორიის ავტოსკოლები, ტექნიკური ხასიათის იყო და მძღოლების

ავტოსკოლა - ადგილი, საიდანაც სგზო უს- აფრთხოება იწყება

გარდა, ამზადებდა ავტომწვის და ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლებს- დღეს, რაიმე ტიპის შეზღუდვა არ არსებობს, რაც ქმნის ქაოსურ მდგომარეობას. დღეს 1700 ავტოსკოლაა საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებული, აქედან, 700 მარტო თბილისშია. არსებობს სპეციალიზებული სახელმძღვანელო, სადაც წერია, ვის რისი სწავლების უფლება აქვს. მოძრაობის წესები შეიძლება ასწავლოს საშუალო ტექნიკური განათლების კადრმა, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება. D და C კატეგორიის პედაგოგი, რომლებიც სატვირთო და ავტობუსის მძღოლებს ამზადებს, უნდა იყოს ავტოინჟინერი, სხვას არ აქვს ამის სწავლების უფლება. ავტოსკოლის უფროსი აუცილებლად უნდა იყოს ავტოინჟინერი.

- თქვენ თუ გვავთ შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე კადრები?

– დიახ, გვყავს. ჩვენთან ყველა მაღალკვალიფიციური კადრია.

- რაიმე ტიპის რეგულაციებს თუ უწესებს სახელმწიფო ავტოსკოლებს?

– ამ მხრივ შეზღუდვები არ არსებობს, რაც ნამდვილად ქმნის ქაოსურ მდგომარეობას. საუბარი იყო იმაზე, რომ სგამოცდო ბილეთები არ იყოს განთავსებული ინტერნეტში და ხელმისაწვდომობა ნაკლები იყოს, აბსოლუტურად სწორია და ვეთანხმები ამ მოსაზრებას. შემთხვევით ალებული მართვის მოწმობით, შესაძლოა ვიღებდეთ პოტენციურ მკვლელს. არის კიდევ მეორე უბედურება-ბევრი ფსიქიკური პრობლემების ადამიანი იღებს მართვის მოწმობას, რაც ყოველად დაუშვებელია. ასეთი ადამიანები მართავენ არა მხოლოდ საკუთარ ავტომანქანებს, არამედ არიან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები-ესეც დასარეგულირებელი და მოსაწესრიგებელია. ამაზეც მქონდა საუბარი მინისტრის მოადგილესთან, რომ ჰქონდეთ ურთიერთობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებთან, შეიქმნას ერთიანი ბაზა, სადაც ასეთი კატეგორიის ადამიანები იქნებიან რეგისტრირებული და მათთვის იყოს შეზღუდვები მართვის მოწმობის ალებასთან დაკავშირებით. ადრე იყო მთელი რიგი დაავადებების ნუსხა, რა დროსაც შეიძლებოდა, ან იკრძალებოდა მართვის მოწმობის გაცემა.

- ბატონო ნუგზარ, თქვენს ავტოსკოლაზე გვესაუბრეთ. ვის შეუძლია ისწავლოს თქვენთან?

– ავტოსკოლა "ავტობანი I" რამდენიმე ფილიალს აერთიანებს, ხაშურში სამ ადგილასაა, ასევე, ნინოწმინდაში, ახალქალაქში, ბორჯომში, ქარელში, გორში. დადის ბორჯომის, ხარაგაულის მოსახლეობაც, რომელთათვისაც გარკვეულ შეღავათებს ვაწესებთ სწავლის გადასახადზე. პირველი აქტი სკოლაში ჩარიცხვაა. ფორმდება ხელშეკრულება თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოსთან, ექიმები ჩამოდიან და ადგილზე ხდება მათი სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემასთან გვექონდა საქმე, უარი გვითქვამს, წასულან და სხვა ავტოსკოლებს უპრობლემოდ მიუღიათ.

- სწავლის პერიოდი რა დროს მოიცავს? რა მანქანებზე უწევთ მოსწავლეებს პრაქტიკული მეცადინეობა?

– სწავლების პერიოდი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. სწავლის ხანგრძლივობაც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე. ჩვენთან შემოსული მოსწავლეების მონაცემები იტვირთება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. ამ ეტაპზე გვყავს სამი მანქანა, "სკოლა ფაბია", რომელიც საგამოცდო მანქანების ანალოგია, ავტობუსი და სატვირთო მანქანა, ვისაც ეს კატეგორია სჭირდება, მათთვის.

- თქვენს ავტოსკოლაში დღეს რამდენი თანამშრომელია?

– თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 25, აქ არიან, მასწავლებლები,



ბუღალტრები, დაცვის თანამშრომლები, პროგრამისტები, მართვის ინსტრუქტორები.

- რომელ კატეგორიებს გასცემთ?

– გამზადებთ A კატეგორიის მძღოლებს, მოტოციკლეტებს, B კატეგორიას (მსუბუქი ავტომანქანების), C კატეგორიას (სატვირთო), D ავტობუსის, E

(დასასრული V გვერდზე)

გამოსავლის ძიებამ ცნობილი ეკოფეშინისტი პეტრა კელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე სიტუაციაში პოლიტიკას შინაარსებისა და ფორმების ცვლილება სჭირდება, კერძოდ, სამყაროს მდლიანობის თეორიითა ხედვა, ნაცვლად დაყოფისა და დანაწევრებისა.“ და იქვე განაგრძობს, რომ საჭიროა ადამიანებმა შეცვალონ შეგნება საკუთარი ცხოვრების სტილსა და ქმედებებთან დაკავშირებით.

კელის მოთხოვნა, რომელიც ადამიანთა ცნობიერების შეცვლას გულისხმობს, ცხადია, ამჯერად უკეთილშობილესია, და ამავდროულად, მეტიმეტად საშური. თუმცა, იმის გათვალისწინებით თუ რა ფსიქოსოციალური ტოქსინების ველში ვწევს თანამედროვე ადამიანს ცხოვრება, ცნობიერების ცვლილება რომ დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, ცხადზე უცხადესია. ერთია თანამედროვეობაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროთა თანაფარდობისა და ურთიერთდაზოკიდებულების კატასტროფული სურათი, სადაც ეკონომიკური ინტერესების მიერ ყველა და ყველაფერი შთანთქმულია და მეორეა მისი შეგრძნება, აღქმა, აღიარება ანუ გაცნობიერება. სიღარიბის შიშის ველში სოლიფიგია შეჭრილი ამწუთიერი ტკბობით ცნობიერების გათიშვის იმპულსი. რეალობიდან გაქცევის პერმანენტულ რეჟიმში მყოფ ადამიანს ეუცხოება აზროვნება, მომავლის წარმოსახვა და, აქედან გამომდინარე, არსებულზე პასუხისმგებლობა. და ეს ყოველივე იმ დროს ხდება, როცა „ოფიციალური ეკონომიკა დღემდე არ ითვალისწინებს იმ გლობალურ ზარალს, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად მიადგა დედამიწას“ (პეტრა კელი).

თანამედროვე საზოგადოებას რაც ესაყვედურება, პირველ რიგში, მეტიმეტად გაზრდილი, ზღვარდაკარგული მომხმარებელი ბუნებაა. მაშინ, როცა ამ შიხს ქვეშეთში მხოლოდ ადამიანს მიეცა უნარი იმისა, რომ იყოს შემოქმედი და ყველა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, აიღოს პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარ თავზე, ასევე საზოგადოებასა და ბუნებაზე.

გერმანელი სოციოლოგი და ინდუსტრიული ურთიერთობის მკვლევარი ვოლფგანგ შტეგერი პუბლიკაციაში „ნეოლიბერალური რეფორმა“ აანალიზებს და მწვავედ აკრიტიკებს მომხმარებელურ საზოგადოებას, კაპიტალიზმსა და ნეოლიბერალიზმს სწორედ იმ მიმართულებით, რომ მათ პირობებში შესაძლებელი გახდა სოციალური და საბაზრო სამართლიანობის, ამ ორი ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პრინციპის „გარიგება“ და შემდეგ ერთდროული ღეგალიზება.

საბაზრო სამართლიანობის მიმდევრები, მიუხედავად ამისა, უკან მაინც არ იხევენ და ცდილობენ პოლიტიკური თვალსაზრისით დომინანტური პოზიციის მოპოვებას. სოციალურ სამართლიანობას მოიხსენებენ, როგორც პარტიკულარისტული თვალსაზრისით „პოლიტიკურად“ ბინძურს. საბაზრო სამართლიანობის პოზიციის დამცველები თავიანთ თავს წარმოაჩენენ თითქოსდა პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი იყენენ. ცხადია, დიდი ფულით „მიჯაღობულ“ პოლიტიკას ბაზარი იყენებს ე.წ. საბაზრო სამართლიანობის სახელის დამკვიდრებისთვის, დემოკრატიული იყენებს ფასადისთვის. „ბაზრები-წერს ვოლფგანგ შტეგერი-პიარის დაუღალავი მტკიცებით, თითქოსდა ზოგადი წესების დაცვით ანაწილებს, მაშინ, როცა სინამდვილეში ეს პირიქითაა.“ პოლიტიკასაც თავისი განაწილების ე.წ. დემოკრატიული გზა აქვს. ფულად მოგებაზე მორგებული პოლიტიკის გზა, ცხადია, ძალაუფლებასა და ნაცნობობაზე გაიყვანს. ასეცაა, როგორც პრაქტიკა ადსტურებს ცნებები: „საბაზრო სამართლიანობაც“ და „სოციალური სამართლიანობაც“ დიდი ფულისთვის მხოლოდ საპიარო დანიშნულებისთვისაა განკუთვნილი. ხნდება კითხვა: ფსევდოეკონომიკურ და ფსევდოპოლიტიკურ ხდომილობათა ველში მოქცეულ ადამიანს რა არჩევანი შეიძლება ჰქონდეს? ის ხომ ამ წარმოდგენის უნივერსალურ ტრანსისტორულ არსებას, ის ხომ იმ სისტემის პროდუქტია, რომელშიდაც ის წარმოიშვა. მაშინ სად, რომელ ველში უნდა იგრძნოს მან თავი ადამიანად? სად გამოხატოს თავისი თავი?

თუ ადრეულ პერიოდში ადამიანი მუდმივ და მჭიდრო კავშირში იყო სამყაროსთან მიწით, წარსულით, ნათესაობით და მისი გადარჩენა დამოკიდებული იყო დადგენილ ერთობლივ თანამშრომლობაზე, ახლა იგი მიჯაჭვულია მხოლოდ ფულზე. შედეგიც შესაბამისი დადგა: ადამიანური ურთიერთობები თავიანთი ჭეშმარიტი მნიშვნელობისაგან კრიტიკულ ზღვრამდე განძირივული აღმოჩნდნენ!

„მწვანე ანთოლოგიაში“ გამოქვეყნებულია განათლებით ფილოსოფოსის რუდოლფ ბაროს „გადარჩენის გზის აქსიომები“, სადაც ავტორი თეზისების სახით გადმოსცემს არა მხოლოდ არსებულ პრობლემებს, არამედ მისი გადაწყვეტის პერსპექტივაზეც არგუმენტირებულად საუბრობს. ბარო ცდილობს საზოგადოების ყურადღება შეაქნოს იმ გარემოებაზე, რომ „არსებობს რაღაც, რაც ტექნიკურ და თუნდაც სოციალურ სტრუქტურებზე უფრო მნიშვნელოვანია“. ბაროს მიანია, რომ ევროპამ, განსაკუთრებით კი გერმანიამ, უნდა იტვირთოს დედამიწის ყოველმხრივი გადარჩენა, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური, რადგან სწორედ აქ წინასახა ეს თვითმკვლელობად ქცეული კულტურა. ხოლო გერმანიამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა იმით, რომ იგი XX-საუკუნის ორი დიდი კატასტროფის მთავარი მიზეზი გახდა.

ბაროს მიერ თვითგამანადგურებელი კულტურის პასუხისმგებლობის დაქირება ვეროპისთვის, ერთი შეხედვით, შეიძლება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დასავლური დემოკრატიის თავდაპირველი მდგენელების მიხედვით ვიმსჯელებთ, მის ფალსიფიცირებასა და სიმულირებაზეც პასუხისმგებლობა ევროპულ ცნობიერებას რომ დაეკისროს, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნება. დიან, ძველ ბერძნულ კულტურაზე, ქრისტიანულ ნორმებსა და ლიბერალურ ეკონომიკაზე დაფუძნებულ ევროპას ძალუქს მოვლენების მიუკერძოებელი ხედვა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სიღრმისეული წვდომა და შესაბამისი კონსტრუქციული მოქმედება. წიგნის „მწვანე ანთოლოგიის“ მთლიანი პათოსიც ეს არის.

ფსიქონალიზური სქემის აზრობრივი გათამაშებით ევროპა უფრო კაცობრიობის გეოანუ, რეალობის პრინციპით მოქმედი შრე იქნებოდა, ახია თავისი კოლორიტული კულტურითა და ენერგით, ჯერ კიდევ მრავლად ამოსახსნელი საიდუმლოებით აღსავსე იდ ანუ ინსტიტუტების ჭეშმარიტ სამეფო, ხოლო აშშ სუპერ გეო ანუ ხე-მე-მორალის პრეტენზიით აღჭურვილი დიდი კითხვა- ძახილის ნიშანი.

ფრიდრიხ რატცელის სივრცული გრძნობის თეორია აშშ-ის მხრიდან საბოლოოდ პლანეტარული სივრცული გრძნობის პრეტენზიაზე წინასწარმეტყველებს. ოსვალდ შპენგლერიც „ევროპის მზის ჩასვენებას“ ისე ხედავს, როგორც კაცობრიობის უდიდეს განაცდელს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თანხვედრილობა და ურთიერთგანხილვითა და არაერთი მოახროვნისთვის აღმოჩნდა სერიოზული ინტერესისა და კვლევის საგანი.

უკვე სრულიად დაუფარავად, ხმამაღლა ცხადდება, რომ ფლობისა თუ ყოფნის საკითხი თანამედროვე ევროპისთვის ყველა გამოწვევას შორის ყველაზე საპასუხისმგებლო გამოწვევაა, რაც კი ოდესმე მის წინაშე მდგარა. ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ცალ-ცალკე ანუ გაღმა-გამოღმა ნაპირზე დგომა საგანგაშოდ სახიფათო ზღვრამდგა მისული. „ერთადერთი შანსი, წერს ბარო, ახად ცნობიერებაში უზარმაზარი ნახტომი გახლავთ“. ეს ნახტომი ცნობიერების ტრანსფორმაციაა, ადამიანის არსებასთან დაკავშირებული ძალების განახლებული ინტეგრაცია, რაც აღმოსავლური „ყოფნისა“ და დასავლური „ფლობის“ ერთიანობაში, მათ მორგებაში იქნება ასახული. თუ აღმოსავლეთის ადამიანისთვის, როგორც ფილოსოფოსები აღნიშნავენ, ყვავილის მშვენიერება მის ჭერეცაში განიცდება, დასავლეთის ადამიანი ყვავილს უცერემონიოდ მოწყვეტს და შინ, მაგიდაზე ლარნაკში ჩადებს. გოეთემ თავის დროზე საუკეთესო გამოხსავალს მიაგნო: ყვავილი გადაიღვას საყვავილე ქითანში! მას შემდეგ დრომ ბუერი სიხლდე მოიტანა, როგორც მცენიერები აღნიშნავენ, განვითარების თვალსაზრისით, ის, რაც წინა 250 წლის განმავლობაში კაცობრიობამ გაიარა, ის ტემპი აღარასოდეს განმეორდება. უფრო მეტიც: განვითარება შეწყდება!

ბაროსთვის გოეთეს საყვავილე ქითანი თავად დედამიწაა, რომელსაც შენვე რწვაგ, მზის შუქს არ უწრდილავ და მიწას უფხვიერებ. ეს ყოველივე კი, ისევე ბაროს თუ დავესესხებით, „შინგით მიმართული გასხივოსნებაა“. „შთაგონება ზევიდან კი არა, შიგნიდან მოდის, როგორც ევოლუციის ასპექტი, მისი შინაგანი გზამკვლევი სხივი მუდამ ჩვენზე გენოტიპის სახით გვეტყობოდა. ისაა ჩვენი ბუნებისა და ჩვენში განფენილი მთელი ბუნებისთვის ფორმისა და

შინაგანი წესრიგის მიმნიჭებელი ასპექტი, განურჩევლად იმისა, ვიცით ჩვენ ეს თუ არა. მაგრამ, ვიდრე ამას არ გავიზრებთ, ვიდრე მასთან შეგნებულ ზიარებაზე არ ავაგებთ ჩვენს კულტურას, ვიდრე ყველანი არ მივიღებთ მონაწილეობას და ამის საფუძველზე ერთნი არ გავხდებით, ინდივიდუალური გენოტიპებით როგორც უნდა განვსხვავებოდეთ ერთმანეთისაგან. ჩვენი „შეზღულული წვდომითა და შეზღულული მიზნებისაკენ მიმართული ქმედებით მუდამ დავარდევით ბუნებრივ წინასწრობას“. (რუდოლფ ბარო).

მხელია, არ დაეთანხმო ბაროს, რომ ყველა სოციალური უბედურების მიზეზი ჩვენივე ფსიქიკაა. სიხარბის ვნებას აყოლილი ადამიანი ადვილად ატყუებს საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ შეუძლია „შეშინებულ“ ადამიანის რეპუტაციის სახელით ცხოვრება. ოღონდაც ასეთი სიყვალბის მიუღი ფსიქოლოგიური ძალა ისაა, რომ თავადვე სჯერა თავისივე ტყუილის. ცივილიზაციის ის ჯადოსნური ყუთი, რომელსაც ტელევიზორი ჰქვია, სხვა რაღას აკეთებს? განა მას არ ხელაწყოვსა მცირედი სიმაბრტლის ფონზე დიდ-დიდი ტყუილების ფეფურებად გადაქცევა?

ზემთ აღნიშნული ღამის უსასო ღაბირინთიდან გამოსასვლელად ეროსის, ლოგოსისა და შრომის ერთმანეთთან შერიგება და მის პრაქტიკაში გადატანაა ბაროსთვის უმთავრესი, რომელიც მისი აზრით შაბათის ცნებიდან გამომდინარეობს და, რომელიც მხოლოდ მაღალგანვითარებული კულტურისთვისაა მისაღწევი. (შაბათის ცნება იხ. ერის ფრომი).

სამწუხაროდ, მაღალგანვითარებულ კულტურაზე იქ ვერ ვილაპარაკებთ, სადაც დაკარგულია პოლიტიკის ნდობა, სადაც შრომასა და კაპიტალს შორის ბალანსი დარღვეულია, სადაც ხელისუფლებიდან ვერ ხდება დასაქმების უზრუნველყოფა, სადაც მოსახლეობა განიხილება, როგორც მხოლოდ ელექტორატი და ა.შ. აღნიშნული პირდაპირ მიმართულია ადამიანთა კომოფიციტრებაზე (მომხმარების საგნებად გადაქცევა). იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება აღნიშნული პროცესის დაძლევა, კარდ პოლანი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სრული კომოფიციტრების შემთხვევაში აუცილებლად მივიღებთ ფაშისმს, იმაზე უფრო მძიმე ფორმით, ვიდრე იყო.

ევროპის მიხანი თავიდან აიცილოს ახალი ფაშისმი და ტოტალიტარიზმი, უპირველესად ითხოვს დემოკრატიის ნიღბის ქვეშ დღეგრული ფაშისმისა და ტოტალიტარიზმის შექცეული ელემენტების დაყოფილებივ ამოცილებას. ამერიკელ ეკონომისტს რობერტ გორდონს ამ მხრივ ევროპა დიდად არ ემედება, რადგან მისი აზრით ევროპის უმეტესი ქვეყნები სწრაფად ბერდება. როცა დასაქმებულებმა გადაინაცვლეს საამწყობო კონვეიერიდან სერვის სექტორში, შეიცვალა ეკონომიკური განვითარების გზები-სევე ეკონომიკური ურთიერთობები, საქმიანობის მახასიათებლები, ზოგადად პოლიტიკები და რაც მთავარია, სიღარიბისა და უმუშევრობის საშიშროება ხელს უშლის სტაბილური და საიმედო მომავლის დაგეგმვას.

„მწვანე ანთოლოგია“ არა მარტო ხედავს არსებულს და ამხელს ამ მწარე ბორტების სათავეს, არამედ გადარჩენის გზაზეც მიუთითებს.

სამყაროს ერთიანობა სხვას რას უნდა გულისხმობდეს თუ არა მის მრავალფეროვნებაში რაღაც საერთოს არსებობას. ძველი ბერძნები ასეთ საერთოს ბუნების მოვლენებში ეძებდნენ. პუგელი აღმოჩნდა ის, ვინც ბუნების, საზოგადოებისა და ცნობიერების განვითარების მიმართულებით ერთიან კანონებს მიაგნო. აქედან გამომდინარე არაორგანულ და ორგანულ სამყაროს, საზოგადოებას, ცნობიერებას ინდივიდუალური მოცემულობის შემთხვევაშიც ანალოგიური მომენტები რომ აღმოაჩნდეთ, ალბათ გასაკვირიც არ იქნება.

ადამიანთა სიმრავლე, რომელსაც ხალხს უწოდებთ, ერთ შემთხვევაში შეიძლება საზოგადოებას წარმოადგენდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში-არა. ეს იმის მიხედვითაა თუ როგორია მის წევრთა შორის შეჭდულობის ხასიათი და რა ფასეულობები აკავშირებთ მათ ანუ რა არის მათი საზიარო ნორმები. საზიარო ნორმების ნაკლებობა, მისი შესუსტება საზოგადოებას ყოველთვის დაშლით ემუქრება. ზნე-ჩვეულებებითა და ტრადიციებით ადამიანი რაღაცა დოზით იმ საკრალურთან ურთიერთობს, რომელიც მისი ფსიქიკურის ერთგვარ დაცვის ფუნქციას ტვირთულობს და პროფანულსაც გარკვეული დოზით ემიჯნება. ასეთი საზოგადოება ახერხებს საზიარო ღირებულებებით ცხოვრებასა და შინაგანი სტაბილურობისა და სიმყარის განცდაც საკმარისად გააჩნია.

პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული, მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების ასოცირება აღმასთან უპირველესად თავად აღმასის აღნაგობის სტრუქტურებიდან გამომდინარე სიმტიციესთანაა დაკავშირებული. აღმასიცა და გრაფიტიც ხომ ნახშირბადის ალტროპიული სახეცვლილებებია, მაგრამ ერთი მყარია, მეორე კი-რბოლი და ამიტომაც ადვილად კარგავს ფორმას, ადვილად იფშენება. ცხადია, რადგან აღმასის ატომებს შორის ბმა მტკიცეა, ხოლო გრაფიტის ბმები სუსტია. საზოგადოების შემადგენელ ელემენტებსაც, ხატორხად რომ ვთქვათ, აღმასისებრი მტკიცე ბმები ანუ საზიარო ნორმებით განხორბებული საიმედო კავშირები გააჩნია, რაც მისი ერთიანობის ანუ მთლიანობის საფუძველთა საფუძველია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ XXI-საუკუნის ადამიანმა ყველაფერთან ერთად საკუთარი თავიც მოხმარების საგნად გადააქცია. ეს კი ადამიანურ ცხოვრებასთან ცდომილების უკვე ის ზღვარია, რომლის იქითაც დასასრულია, ამიტომაც, სწორედ აქ ამ დროში როგორც გარდუვალი, კანონზომიერი პროცესი ამოხეთქავს სიცოცხლის ტენდენციის მატარებელი ძალა. ეს ძველში ახლის დაბადების მისტიური მომენტია-მტკიცეუნივილიც და ამადლებულიც. მანამდე კი არსებულის გაცნობიერება, როგორც დილემის გასაღების მიგნების აუცილებლობა, ისე ღვას თანამედროვეობის წინაშე.

თუმცა, წინ მაინც დიდი შიშია, გაცნობიერების ირაციონალური შიში! რომელიც, პრობლემის სირთულიდანაც გამომდინარეობს და რამდენადმე „თავლის სითბოს“ ხიბლსაც შეიძლება უკავშირდებოდეს. ერთი კი ცხადია, როგორც პავლე მონიქული ამბობს: „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“. ცხადია, ეს არც მოთხოვნაა, არც მოწოდებაა. ეს ვალდებულებაა- შინაგანი ვალდებულება!

შინაგანი ვალდებულების იგნორირება, როგორც კლასიკური გაუცხოება, სადღესოდ უზარმაზარ ფიზიკურ და სულელებ ტვირთად აწევს მთელ პლანეტას. ცნობილი ეგზისტენციალისტი მხატვრის ვიგარდ მურკის ნახატებს „შიშისა“ და „კივილს“ სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია, რომ სრულად დაემსგავსა კაცობრიობის სულიერი მდგომარეობა. ცნობიერების გამოცოცხლების იმედიც სათუთა, თუ დიდი ძალისხმევა არ განხორციელდა საამისოდაც.

კარდ გუსტავ იუნგი, როცა „გაყოფილებულ ცნობიერებაზე“ ლაპარაკობს, იქვე აღნიშნავს, რომ: „საკუთარი თავითვე დაპიანოზებულ ცნობიერებას განსჯის უნარი დაკარგული აქვს. ინფლაცია ცნობიერების რეგრესის იწვევს და მას არაცნობიერ მდგომარეობაში აბრუნებს. ეს ხდება ყოველთვის, როცა ცნობიერება არაცნობიერის შინაარსს თავის თავზე იღებს“. აღნიშნულის დასტურად იუნგი კონკრეტულ მაგალითს მიუთითებს: „როცა ბედისწერამ ევროპის ცენზაზე შემზარავი ომი გაითამაშა, ომი, რომელიც არავის სურდა, არ მოინახა არავინ, ვინც თავის თავს დაუსვამდა კითხვას: რამ ან ვინ გამოიწვია ეს საშინელება? ვერაინ მიხვდა, რომ ევროპელი რაღაცას შეეპყრო, რამაც მას ნებელობა წაართვა. წერას ატანა და არაცნობიერი მდგომარეობა მანამ გაგრძელდება, სანამ ევროპელს ერთხელაც საკუთარი „ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობა“ არ შეაშინებს“.

ევროპა დღეს, მართლაც, შეშინებულია. ეს ეგზისტენციალური შიშია ანუ სასიკეთო შიში!

სიცარიელისა და შიშის განცდის ბოლომდე მიყვანით, შეიძლება ადამიანმა საკუთარ არსებობას გარკვეული დანიშნულება და საზრისი მიანიჭოს და არსებობის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს (სიორენ კირკგორი).

დიან, ეს იუნგის „ნანატრი“ შიშია-ევროპისა და არა მარტო ევროპის გადარჩენის შიში! „მწვანე ანთოლოგია“, როგორც ამ შიშის კეთილი ნაყოფი, ისე წარმოჩნდა ახლა მკითხველის წინაშე და იმ სამოთხის გადასარჩენად გველაპარაკება, სადაც ვიყავით, ვართ და, იმედია, ვიქნებით.

(დასასრული)

მისაბმელიან (ე.წ. ტრაილერებს),ტრაქტორის და ავტომანქანის მძღოლებს,ახვევ გვაქვს ტრამვის ვატიანის კურსები.

- როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუარა, ავტოსკოლაში მივიღოთ თეორიული განათლება?

-საგამოცდო ბილეთებში აისახება მოძრაობის წესების მხოლოდ 20%, სშირია თვალის მეხსიერებით დაზეპირებული საგზაო ნიშნები,შეველენ თბილისში,გამოველენ 200 ლარიანი ჯარიმით და ვერც ხვდებიან,რა დააშავეს-არ იციან ხაზის გადაკვეთა სად შეიძლება და ა. შ. ამიტომ,რა თქმა უნდა, საჭიროა, როცა მასწავლებელი ხედავს შეცდომას, აუცილებელია რამდენჯერმე მიუბრუნდეს საკითხს, სანამ არ ისწავლის მოსწავლე და შესაბამის შედეგს არ აჩვენებს.

- 100 ქულიანი სისტემის შემოღებას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს. თქვენ, როგორც პროფესიონალი, რომელ მხარეს ხართ?

-100 ქულიანი სისტემა კარგად დაეფუძვნება ქვეყნის არსებობდა წარსულში ამის გამოცდილებაც,ოღონ სხვა ფორმის. იყო გამაფრთხილებელი ტალღონი, სამჯერ გახვრეტილი ტალღონი ავტომატურად მართვის მოწმობის დაკარგვას და გამოცდაზე ხელახლა გასვლას ნიშნავდა. დღეს სიმთვრალეზე ერთწლიანი დისკვალიფიკაციაა, სამი თვის შემდეგ, შეუძლია გამოცდა

ავტოსკოლა - აღბილი, საიღანაშ სტანო უსაფრთხოება იწყება

ჩააბაროს ან 1500 ლარი გადაიხადოს,რაც არასწორი მიდგომაა. სიმთვრალეზე დასაველეთის ბევრ ქვეყანაში პატიმრობაა. იქ ალკოტესტიც სხვანაირია, აჩვენებს სიმთვრალის ხარისხებს,ლუღზე და დაბალი ალკოჰოლის შემცველ სასმელებზე დაბალი სანქციებია. დასახვეწია რაღაცეები, თუმცა, რეგულაციების გამკაცრება, რა თქმა უნდა, აუცილებელია საქართველოში. ამაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო

მუშაობს. გარდა ამისა, ჩართულია განათლების სამინისტრო, რომელიც აქტიურად მუშაობს სკოლების ავტორიზაციაზე,თუ რა ნორმატივებს უნდა აკმაყოფილებდეს,რის შემდეგაც, ბევრ სკოლას შეუწერდება ავტორიზაცია.

- საცობების პრობლემის მოგვარება თუა შესაძლებელი?

-დღეს საქართველოში 1 300 000 მანქანაა რეგისტრირებული, გარდა ტრანზიტული მანქანებისა. მოძრაობის შეფერხებას მარჯვენა საჭიანი მანქანებიც ქმნიან. ყველა პრობლემაზე საკითხზე, უნდა იმუშაოს პროფესიონალმა, გამოსავალი ამაშია. დგას იმის საშიშროებაც, რომ რამდენიმე წელიწადში კვალიფიციური კადრიც არ იქნება, რომელიც თეორიულ თუ პრაქტიკულ გამოცდილებას გაუზიარებს მოსწავლეებს.

თ. ჯავახიშვილი

მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასაშვილმა, გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოებს დაათვალიერა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ უზრუნველყოფით, ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში; წალვლი, ტკოცა, პატარა ფლევი, დიდი ფლევი, ზემო ბროლოსანი, ქვემო ბროლოსანი, წელვერი, ტიტეინისწყარო, ნაცარგორა, ნაბახტევი, მცხეთიჯვარი, უწლევი, ალი, ბრილი, ქინძათი, ახალუბანი, დუმაცხოვი, კლდისწყარო. აღნიშნული ღონისძიებები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას მკვეთრად შეუწყობს ხელს.



პროექტირების სამუშაოებში ჩართული არიან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, რათა გაზიფიცირების სამუშაოების განხორციელებისას მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

სამომავლოდ, იგეგმება ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის გაზიფიცირება.

Advertisement for 'საქაი ზაგ' (Sakai Zag) featuring a church illustration, contact information (0 901 700 307), and a hashtag #ბანაბგაეროიანებს.

უფლის წყალობა არ მოგპლავოდეთ!

ახალი ბანას მშენებლობა ის პროექტია, რომელშიც სრულიად საქართველო მონაწილეობს. ამ გრანდიოზული კომპლექსის დასრულების შემდეგ, ჩვენი მუნიციპალიტეტი სულიერების ერთ-ერთ უმძლავრეს ცენტრად იქცევა ქვეყნის მასშტაბით. ჩვენი მკითხველების თხოვნით, ვაქვეყნებთ ანგარიშის ნომერს (სურათზე), რომელიც საქართველოს ბანკშია გახსნილი. თითოეული თქვენგანის შეწირულობა, რა თქმა უნდა, თქვენზე და თქვენს ოჯახებზე გადმოსული მადლი იქნება, მადლი რომელმაც სრულიად საქართველო უნდა გააბრწყინოს.

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

40 წედი აღზრდის სამსახურში

ადრეული აღზრდა და განათლება ზოგადი განათლებისა და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების საფუძველია.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტი კი სასკოლო მზაობის პროგრამის სრულად განხორციელებაა. ჩვენი რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება და თითოეული საბავშვო ბაღის მენეჯერი, აღმზრდელ-პედაგოგები და დამხმარე პერსონალი ძალდონეს არ იშურებენ სააღმზრდელო პედაგოგიური ფუნქციის მაღალი სტანდარტით შესასრულებლად.

მე-10 სკოლამდელი დაწესებულება ორმოცი წელია ფუნქციონირებს. 40 წლის მანძილზე დაწესებულებას მართავს ენერგიული, შრომისმოყვარე პედაგოგიური ადლო-



თი, ორიგინალური მართვისა და მუშაობის წესით შემკობილი, პირდაპირი, მტკიცე ხასიათით, გულწრფელობით, აღსაზრდელის, მოყვანის, კოლეგების გვერდით დგომით, საქმისადმი და ადამიანების

მიმართ ერთგულებით გამორჩეული პიროვნება - ქალბატონი მარინა ბანტელიძე.

წელს უკვე მე-40-ე თაობას დაულოცა გზა სკოლისაკენ. ბაღის დაარსებიდან

ერთი წელი მასწავლებლად და დანარჩენი ხელმძღვანელად - არც ისე იოლი გასაძლოდია.

40 წლის მანძილზე, საბავშვო ბაღმა მისი ხელმძღვანელობით ძალიან ბევრი ადამიანი აღზარდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათგან ბევრი ისევე სოფელს დაუბრუნდა და ხელმძღვანელ სამუშაოზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

გადიოდა წლები, ქალბატონ მარინას ხელში თაობები ფრთიანდებოდნენ, იყო 40 ზამთარი და 40 ზაფხული. იყო პრობლემები, უფრო მეტი კი წარმატებები და მადლობის ბარათები. ქალბატონი მარინა წლების მანძილზე საზოგადოებრივ საქმიანობასაც აქტიურად ასრულებდა, იყო საბავშვო ბაღების მეთოდ-გაერთიანების ხელმძღვანელი, საკრებულოს დეპუტატი, მასწავლებელთა კონფერენციის დელეგატი. მის ხელში მრავალმა ახალბედა არზრდილმა გაიარა და დაოსტატდა.


იყო წლები, როდესაც ბაღში ციოდათ, საკვები ან უხარისხო იყო, ან საერთოდ არ ჰქონდათ. მაგრამ ქალბატონ მარინას და მისი პატარა ბაღის დიდ კოლექტივს ბავშვები არასოდეს აკლდათ, რადგან სახლიდან მოტანილი საკუთარი შეიღების დასაპურებელი წილი მოჰქონდათ მათთან, სითბო და სიყვარული მოჰქონდათ და ამიტომაც, დღეს, საბავშვო ბაღი წლებამართულია, პროფესიონალი პედაგოგებითა და 100-ზე მეტი აღსაზრდილით.

ქალბატონ მარინას საიუბილეო წელს მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორმა დავით ნოზაძემ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ინეზა ელისაშვილმა. მადლობის სიტყვები არ დაიშურეს გაერთიანების თანამშრომლებმა ნანი ლაბაძემ, ეთერ გოგალაძემ, აკაკი ჯამბაზიშვილმა. ღონისძიებაზე მოწვეული საბავშვო ბაღების მენეჯერები არაერთ საინტერესო ამბავს იხსენებდნენ მარინა პანტელიძის ცხოვრებიდან და მუშაობის შესახებ.

საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ ბაღის აღზრდილი, ცხრამუხის გამგებელი ოთარ ბირკაძე, აღსაზრდელის მშობლები, რომლებიც გულწრფელ მადლობას უხდინდნენ ქალბატონ მარინას და მთლიანად კოლექტივს.

კიდევ ერთხელ გულოცავთ ქალბატონ მარინას და წარმატებებს ვუსურვებთ მე-10 საბავშვო ბაღის მესვეურებს, აღსაზრდელებს და მათ მშობლებს, დაე, რეალობად აცხადებოდეთ სურვილი იმისა, რომ კიდევ უფრო ფართო, ლამაზ და სტანდარტებით აღჭურვილ ბაღში ემუშაოთ და ეღვაწოთ.

ინეზა (ზიზი) ელისაშვილი-შუბითიძე



ჩვენი მკითხველის თხოვნით, ვაჭყეუნებთ ახალი ავტობანის რუკის ფოტოსურათის იმ მონაკვეთს, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის - ზემო ოსიაურიდან რიკოთის გვირაბამდე. ავტობანის მშენებლობის ამ მონაკვეთის დასრულება 2021 წელსაა ნაგარაუდები.



მსოფლიო ჩემპიონაფზე ხაშურის ორი წარმომადგენელი ეყოლება

გაზეთის წინა ნომერში მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ სერბეთში, ჭიდაობა სამბოში, 11-14 ოქტომბერს, მსოფლიო ჩემპიონატზე, ჭაბუკებს შორის გიორგი მეხრიშვილი იჭიდავებს. ამ დღეებში, კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ - იგივე მსოფლიო ჩემპიონატზე, ახალგაზრდებს შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ვახტანგ მეტივიშვილიც (57 კგ) გაემგზავრება. ვახტანგი, ისევე, როგორც გიორგი, ჭიდაობა სამბოში დამსახურებული მწვრთნელის ბუხუტი ბუხრიძის აღზრდილია. ახალგაზრდობის მიუხედავად, მას ტიტულები უკვე აქვს - 2013 წელს, ჭაბუკებში, ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი აიღო, 2015 წელს კი მესამე ადგილზე გავიდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებისათვის ნაკრების დასაკომპლექტებელი ბოლო „ზღვარი“, ამ

გორიაში ვახტანგმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბუნებრივია, ახალგაზრდულ ნაკრებში, თავის წონაში პირველ ნომრად დასახელდა.

მაშ ასე: 11-14 ოქტომბერი, სერბეთი, ქალაქი ნოვისადი, ჭიდაობა სამბოში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენს მუნიციპალიტეტს ორი წარმომადგენელი ეყოლება. ეს, რა თქმა უნდა, ხაშურის საჭიდაო სკოლის კიდევ ერთი აღიარებაა და დასტური იმისა, რომ ჩვენი სასპორტო სკოლა ბრწყინვალედ ასრულებს იმ მისიას, რაც მას ეკისრება.



ნანა გოგალაძე
და სამხიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაგრძობას უცხადებს პირველი საჯარო სკოლის პროფთავმჯდომარეს ქალბატონ მარინა რატიანს ძმის

D მალხაზ რატიანის
გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.